● პროფესორი ივანე იმნაიშვილი გაგაცნობთ ცნობილ ქართველოლოგს იულიუს ასფალგს.

მე-2 გვერდი

● ჟურნალისტი თენგიზ შუამლიძე იტალიაში მიღებულ შთაბეჭდილებას გვიზიარებს მე-3 გვერდზე.

ნაიკითხეთ:

● თანამედროვე ქართულ მწერლობაზე ვასილ ბარნოვის მწერალთა კავშირის თავჯდომარე ბატონ ანზორ ბარნოვს ესაუბრა.

მე-4 გვერდი

● მე-5 გვერდზე გაკვეთილებთ საუბარს გაუმართავს თეატრის მთავარ რეჟისორ გიორგი ქავთარაძესთან.

● საქმოსანლოს დაუბრუნდა კიდევ ერთი ბუნაგნეული ფილი — ნაიკითხეთ მე-6 გვერდზე.

● სპორტის სიახლენი იცილემ მე-7 გვერდზე. აქ მოგითხრობთ ნანა ალექსანდრიას ბრწყინვალე წარმატებებზე.

● ფრიად საინტერესო ცნობებს აფრიკელ ქართველებზე გაეცნობით მე-8 გვერდზე.

ლამპრო

უფასოდ გადაეცემა თანაკლასელებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 17 (273). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 10 სექტემბერი

სწავლობენ ქართველთ შვილები...

სოფელი ძველი სენაკი. ახლა ეს სოფელი ჩვეულებრივია, თანამედროვე. მდიდარი ისტორიული წარსული აქვს და რითაც უნდა დავიწყოთ საუბარი, მაცხოვრის ტკბილით თუ გეგმებრთელა შვილდასწყლიანი ჭადრით, უთუოდ ბევრს უნდა ვით საინტერესოს.

რაკი სიტყვა საინტერესო სასაუბროზე ჩამოვარდა, ვილაპარაკოთ ძველი სენაკის სამუალო სკოლაზე, მის წარსულსა და აწმყოზე.

დღეს ეს სკოლა 87 წლისაა. როდესაც მის დამაარსებელს ვეძებთ, გასული საუკუნის მიწურულში გადავდივართ. სულმნათი ილიას გვერდით ვხედავთ აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს, ნიკო ცხვედაძეს, იონა მეუნარგიასა და სხვებს, რომელთა კავშირს ერქვა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და რომელმაც თავის დროზე დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვა უფლება გაეხსნა დაწყებითი სკოლები ქართულ ენაზე სწავლებით.

ერთ-ერთი ამგვარი სკოლა 1884 წლის 28 ოქტომბერს გაიხსნა ძველ სენაკში. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძველი სენაკის ქართული სკოლის გამგედ მიიწვია სამსონ ყიფიანი. კაცი განათლებული, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სახალხო-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებული და დიდი პატრიოტი.

სკოლის გახსნა სახალხო ზეიმად გადაიქცა. ზეიმს აკაკიც ესწრებოდა და თქვა: „დიახ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავიანთი თავი, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, ერთი ბუდიდან ვართ გადმოსულნი“.

ჯერ კიდევ სულ ახლახან რა მოგრძელებით დაგვიწყო!

სწავლობდნენ ქართველთ შვილები...

იყალთოსა და გელათის აკადემიების შემდეგ ქართლის ცხოვრება ისე წავიდა, ჩვენს ჭკვიან წინაპრებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება დასჭირვებიათ... მართლაც რომ ძალიან მცირენი, თითებზე ჩამოსათვლელნი ყოფილან წიგნს დაუფლებული ადამიანები. ახლა, როდესაც ჩვენი თვალით ვხედავთ სასიქადულო მამულიშვილის იდეასა და მის თანამდგომთა შრომის ნაყოფს, უფრო თვალსაჩინოა მათ მიერ წამოწყებული საქმის დიდი ეროვნულობა.

ძველი სენაკის ქართული სკოლა ზრდიდა წერა-კითხვის მცოდნეთ. თუმცა უჭირდა, ძალზე უჭირდა. მოკეთეებთან ერთად მტრებიც არ ელოდნენ. 1905 წელს, როდესაც საქართველოს მუშებისა და გლეხების შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა და გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმები ცეცხლითა და მახვილით მოევლნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძველი სენაკის ქართული სკოლაც ომახვერპლეს. ცეცხლს მისცეს ხის შენობა.

მაგრამ ჩვენს ღირსეულ წინაპრებს მაინც არ ჩაუქრიათ ძველი სენაკის ქართულ სკოლაში წიგნის სიყვარულისა და განათლების ცეცხლი.

სწავლობდნენ ქართველთ შვილები...

სწავლობდნენ შემდგომში სახელგანთქმული ადამიანებიც: სიმონ ჯანაშია, პატრე კვეთარაძე, ვარლამ თოფურია, ნიკოლოზ ახთელავა, არნოლდ ჩიქობავა, კონსტანტინე გამსახურდია.

ბევრი სკოლა ჯერ დაიარებინის ასეთ გაზრდილებს. რამდენი რამ გაკეთებულა საამაყოდ და სანუკვარი ამ ადამიანებმა ქართველი ერისათვის. ამ სახელების უბრალო ჩამოთვლაც კი რაღაც გრანდიოზულობის განცდას ბადებს, აი რაზე ფიქრობდნენ დიდი ილია და მისი მეგობრები, როდესაც ძველი სენაკის სკოლის აღმზრდელს, 81 წლის აკაკი აკობია და სკოლის დირექტორი იონა მიქაძე მოსწავლეებთან.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

(დასასრული მე-6 გვერდზე).

რთველი დაიწყო...





კობა გურული ევროპაში

18 სექტემბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიხსნება ქართული ჰედური ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატის კობა გურულის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

ბუდაპეშტის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი მთლიანად დაეთმობა მხატვრის 35 საუკეთესო ნამუშევარს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების თემა ძირითადად ქართულ ეროვნულ ხასიათს ატარებს. მხატვრის მიერ თანამედროვე ხერხებით გადაწყვეტილი პორტრეტული და კომპოზიციური ნაწარმოებები საზღვარგარეთის ხელოვნების მოყვარულთ მოუთხრობს ქართველი ხალხის ძველისძველ ადათ-ჩვევებსა და ტრადიციებზე.

დიდი ადგილი დაეთმობა დავით აღმაშენებლის, თამარის, შოთა რუსთაველის, პეტრე იბერისა და სხვათა პორტრეტებს, აგრეთვე კომპოზიციებს: „მასპინძელი“, „შენ ხარ ვენახი“, „პაპა ქვევრით“, „კალოობა“, „ჩურჩხელა“ და სხვა.


უნგრეთის შემდეგ გამოფენა გადაინაცვლებს დასავლეთ ბერლინსა და შემდეგ ბადენ-ბადენში. ქართველი ოსტატის ჰედურ ნამუშევრებს გაეცნობიან აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — კერძოდ ბერლინსა და დრეზდენში.

კობა გურული პირველად როდი აწყობს პერსონალურ გამოფენას. დღემდე მის ხელოვნებას გაეცნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, მოსკოვსა და თბილისში. იგი მონაწილეა ოსაკის, ალჟირის, ზიმბაბვეს და სკანდინავიის ქვეყნებში გამართული საერთაშორისო გამოფენებისა, რომლებმაც მას დიდი აღიარება მოუტანეს.

ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობას ამშვენებს მხატვრის 3 შესანიშნავი ჰედური პანო. ახლახანდელ გამოფენა-გაყიდვაზე იაპონიაში იგი წარდგენილია თავისი 12 ნამუშევრით.

კობა გურულის ნამუშევართა გამოფენა უნგრეთში, დასავლეთ გერმანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც თვითონ საზეიმოდ მიიღებს მონაწილეობას, ჰ თვეს გაგრძელდება.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მამულიშვილს დიდი წარმატება.



სურათზე: კვაკერების ერთი ჯგუფი სასტუმრო „ივერიასთან“.

ედუარდ ბიგილაშვილის ფოტო

მოპავლის რწმენით

გათუმში ორ კვირას იმყოფებოდნენ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კვაკერთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. მასპინძლებმა — საბჭოთა ახალგაზრდებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა სამმხრივი ბანაკ-სემინარის მუშაობა ყოფილიყო საინტერესო, გაემართლებინა თავისი დევიზი — „ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ახალგაზრდობის უფლებებისათვის“.

შეკითხვაზე, კმაყოფილი მიდიან თუ არა საქართველოდან ინგლისელი და ამერიკელი ახალგაზრდები, მასპინძელთა თავკაცმა, საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ გოგლიძემ გვირჩია ამ კითხვით თვით სტუმრებისათვის მიგვემართა. ასეც მოვიქეცით.

რა შთაბეჭდილებებით მიემგზავრებით საქართველოდან?

ფელისიტ მაკარი (ინგლისელ კვაკერთა ჯგუფის ხელმძღვანელი) — სემინარის დღეებში იმდენ რამეზე ვიდავეთ, იმდენი ვუთხარით ერთმანეთს, ისე მრავალმხრივად მიმოვიხილეთ სხვადასხვა სოციალური საკითხი, რომ ყველას ჩამოსათვლელად, ალბათ, **ერთი დღე არ** მეყოფოდა. ვიტყვი მხოლოდ მთავარს: ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების ადამიანებმა, საფუძვლიანად გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ ყველას გასაგონად ვთქვით — ომი უდიდესი ბოროტებაა, სასტიკად დავგმეთ აგრესია, რომელსაც ამერიკის იმპერიალისტები ვიეტნამის მოსახლეობის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოსთან შეხვედრა ჩემთვის ის ბედნიერებაა, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ. სპეციალობით პედაგოგი გახლავართ და გარწმუნებთ, ჩემს აღსაზრდელებს დიდი სიყვარულით მოვუთხრობ განუმეორებელ ქვეყანაზე — საქართველოზე.

ვერნონ ბაიზელი (ამერიკელ კვაკერთა ჯგუფის ხელმძღვანელი) — სამმხრივი შეკრება-სემინარის შესახებ ვიდრე აზრს გამოვთქვამდე, მინდა ერთი ცნობა მოგაწოდოთ: საქართველოში მეორედ ჩამოვედი და, როგორც არქიტექტორმა, იმდენი საინტერესო ენახე, რომ, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება. ჩემთვის საქართველოზე ლამაზი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს. გულწრფელად ნათქვამ ამ სიტყვებს, უმორჩილესად გთხოვთ, სტუმრის ქათინაურად ნუ ჩათვლით, იგი გულის ქარნახად მიიჩნიეთ.

სემინარი ძალზე სასარგებლო გამოდგა. ბევრი ვიკამათეთ, მაგრამ დასკვნა ერთსულოვანი გამოვიტანეთ: დავეთ ვიეტნამის ომი, ვთქვით, რომ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს მეგობართა ხელი სჭირდება...


სიუ გოსლაი (ამერიკელი პედაგოგი) — **ჩვენმა წლევანდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რაოდენ აუცილებელია დისკუსიები, რომლებსაც სამივე ქვეყნის ახალგაზრდები ვმართავთ. წრფელ და უშუალო სიტყვას თითოეული ჩვენგანი ჰეშმარიტებამდე მიჰყავდა. და კიდევ ერთი: საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები. შინ დიდი შთაბეჭდილებებით ვბრუნდები, განცდილისა და ნანახის სრულ ანალიზს ალბათ საკმაო დრო დასჭირდება.**

ჯონ რასელი (ინგლისელი სტუდენტი) — მესმის, რატომ იბრძვიან ასე თავგამოდებით საბჭოთა ადამიანები მშვიდობისათვის. ყველაზე კარგად სწორედ თქვენ იცით, რა უბედურება მოაქვს ომს, რა მსხვერპლის გაღებას საჭიროებს გამარჯვების მოპოვება. საშუალება რომ მქონდეს, ყველა ჩემს მეგობარს ჩამოვიყვანდი საქართველოში, გუჩვენებდი, როგორი კეთილი, სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ აქ. ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა ზღაპრულია. მისი აღწერა მხოლოდ დიდ მწერალს თუ შეუძლია.

ჩვენ ვშრომობდით აჭარის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში, ვშრომობდით იმისათვის, რომ ახლო გაგვეცნო თქვენი მიწის მშრომელები, აკი გავიცანით და მივხვდით, რატომ არის თქვენში ცხოვრების დონე ესოდენ მაღალი. თავისუფალი, გულმოდგინე შრომა შედეგსაც სასურველს იძლევა.

დიახ, საბჭოთა ადამიანებს სრული უფლება აქვთ იყვნენ მშვიდობის მებაირახტრენი. გული მწყდება, ორი კვირა ასე სწრაფად რომ გავიდა...

პიტე ოჯსი (ინგლისელი ბუღალტერი) — ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან დავით დიასამიძესთან შეხვედრამ მოახდინა. ჩვენ გავიგეთ თუ რა გზა განვლო, როგორ აყვავდა 50 წლის მანძილზე საქართველო და მისი შესანიშნავი კუთხე — აჭარა. გავიგეთ, რა მოაქვს თქვენთვის ხვალინდელ დღეს. მე ინგლისში 1969 წელს გამართულ კვაკერთა შეკრებაშიც ვმონაწილეობდი და გულახდილად უნდა გითხრათ, ახლანდელი სამმხრივი შეკრება წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. მასპინძლები ხშირად გვიკითხავდნენ ლექციებს საქართველოს ისტორიაზე, მათივე ინიციატივით ვიმოგზაურეთ თქვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, დავათვალიერეთ ისტორიული ძეგლები. ჩემი უახლოესი მიზანია რაც შეიძლება ახლოს გავიცნო საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და კულტურა. ვფიქრობ, ინგლისის ბიბლიოთეკებში ამ თვალწარმტაც ქვეყანაზე ბევრ საინტერესო მასალას მივაკვლევ.



იულიუს ასფალგი

ქართული ენა ერთ-ერთია უძველესი ენაა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველურსა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. ყველა ამათგან განსხვავებით მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული ჩვენი განათლებული წინაპრების დიდი შემოქმედებითი ნიჭის შედეგი — უძველესი წერილობითი ძეგლები: წარწერები (პალესტინაში — ბეთლემისა, საქართველოში — ბოლნისისა, მცხეთის ჯვრის მონასტრისა, წყისისა, ატენისა...), პალიმფსესტები, უნიკალური ხელნაწერები. ამის გამოა, რომ ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას დღეს მსოფლიოს ყველა კულტურული ერი დიდი ინტერესით ეკიდება: გულდასმით სწავლობს, იკვლევს, ახალ-ახალ ქართულ ძეგლებს აქვეყნებს, თარგმნის თავის ენაზე, აგრეთვე ლათინურზე, რომ უფრო გასაგები იყოს მსოფლიოს სპეციალისტ მეცნიერთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ფართო წრეებისათვის.

დღეს ქართულ ენასა და ლიტერატურას (ძველსა და ახალს) ინტენსიურად სწავლობენ, საბჭოთა კავშირის ხალხების გარდა, საზღვარგარეთის ქვეყნებში: ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, ორსავე გერმანიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სხვაგან.

დღეს საუბარი გვექნება გერმანელი ქართველოლოგის იულიუს ასფალგის შესახებ.

ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

იულიუს ასფალგი

ცნობილი გერმანელი ორიენტალისტი იულიუს ასფალგი არის მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი. ის აღმოსავლეთის ენებისა და აღმოსავლურ-ქრისტიანული ლიტერატურის დიდი სპეციალისტია. პროფესორ ასფალგის ყურადღებისა და კვლევა-ძიების ცენტრშია ეთიოპური, სირიული, არაბული, სომხური, ქართული ენები და ამ ერების ძველი ქრისტიანული ლიტერატურა, მაგრამ ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და უფრო ვიწრო სპეციალობად იხდის ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, უფრო ზუსტად — ქართულ საეკლესიო ლიტერატურას.

იულიუს ასფალგი მიუნხენის უნივერსიტეტში კითხულობს ქართველოლოგიის სხვადასხვა კურსს, უმთავრესად ძველ ქართულ ენასა და საეკლესიო მწერლობაში. ძველ ქართულ ენაში იგი ამზადებს სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტსა და ასპირანტს. ესენი არიან, უპირველეს ყოვლისა, თვით გერმანელები, აგრეთვე ბერძენი, ბელგიელი, ავსტრიელი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში, ბიზანტინოლოგიაში, სლავისტიკაში, საეკლესიო სამართალსა და ბიბლიოლოგიაში.

იულიუს ასფალგს თავის სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში მჭიდრო კავშირი აქვს ქართველ მეცნიერებთან, უზიარებს მათ თავის შეხედულებებსა და გეგმებს, იღებს მათგან მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურას, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ტექსტებს, რომლებიც საქართველოში ქვეყნდება, მხატვრულ გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ამჟამად იულიუს ასფალგს მოეპოვება მდიდარი ბიბლიოთეკა ქართველოლოგიაში. სამაგიეროდ იულიუს ასფალგიც აწვდის ქართველ მეცნიერებს სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც საზღვარგარეთ (ევროპასა და ამერიკაში) არის გამოცემული და ძნელად ხელმისაწვდომია ჩვენთვის. პროფესორ იულიუს ასფალგის ენერგიული დახმარებით ქართველ მეცნიერებს მოსდით მათთვის უაღრესად საჭირო ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურა.

იულიუს ასფალგს აქვს ქართველ მეცნიერებთან პირადი კონტაქტებიც. ის სამჯერ იყო საქართველოში: პირველად 1960 წლის აგვისტოში ორიენტალისტთა 25-ე საერთაშორისო (მოსკოვის) კონგრესის დამთავრების შემდეგ, მეორედ 1965 წლის მარტ-აპრილში და მესამედ 1966 წლის სექტემბერში გენიალური რუსთველის დაბადების 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ამ ხელსაყრელ შემთხვევებში გრძელდებოდა ფრიად სახარგებლო შეხვედრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

იულიუს ასფალგი ნაყოფიერი მეცნიერია. მან ჩვენს თანამემამულე მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გერმანულ ენაზე გამოსცა „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“ (1955 წელს), რომელიც შედგენილია კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ I ტომის საფუძველზე და წარმოადგენს ამ უკანასკნელის გადაკეთება-თარგმანს. გერმანულ გამოცემაში გამოტანებულია კორნელი კეკელიძის წიგნის ზოგიერთი ნაწილი, ხოლო ზოგიც დამატებულია ავტორთა მიერ. ამ წიგნს ერთვის კორნელი კეკელიძის სხვა, დიდი მნიშვნელობის გამოკვლევა — „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. მიხეილ თარხნიშვილისა და იულიუს ასფალგის ამ წიგნმა უაღრესად დიდი სამსახური გაუწია ევროპისა და მსოფლიოს სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებს მდიდარი ქართული ლიტერატურის გაცნობასა და შესწავლაში. ამ წიგნმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ძველი ლიტერატურის ფართოდ გატანასა და გავრცელებას საზღვარგარეთ; მან ნათლად დაანახვა მთელ ქვეყანას, რომ ბევრ შემთხვევაში თვით ბერძნული დედნები დროთა ვითარებაში დაკარგულა და ეს მნიშვნელოვანი ძეგლები მხოლოდ ქართულ თარგმანებს შემოუნახავს და დაღუპვისაგან გადაურჩენია. ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა აქაც მკაფიოდ ჩანს.

მიხეილ თარხნიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1958 წელი) იულიუს ასფალგი ჩეხოსლოვაკიელ ქართველოლოგ პროფესორ იარმირ იედლიჩკასთან ერთად შეუდგა კორნელი კეკელიძის იმავე წიგნის II ტომის თარგმნას, მაგრამ იარმირ იედლიჩკა მოულოდნელად გარდაიცვალა (1965 წელს) და საქმე ცოტა ხნით დაეყოვნდა. ამჟამად ის მარტო განაგრძობს ამ საპატიო ამოცანის შესრულებას.

იულიუს ასფალგმა 1963 წელს ვისბადენში გამოსცა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ამ წიგნში შესულია ფედერაციული გერმანიის სხვადასხვა წიგნსაცავში არსებული 10 ქართული ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა. აღწერისას მოეყვანილია ჩვენამდე კარგად მოღწეული ხელნაწერების საუცხოოდ შესრულებული ფოტოპირები (აქვე ვთქვენ, რომ ავტორმა ეს წიგნი უძღვნა მისი ქართველი კოლეგისა და „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორიის“ თანაავტორის, უდროოდ გარდაცვლილი მიხეილ თარხნიშვილის ხსოვნას).

იულიუს ასფალგმა 1965 წელს გამოაქვეყნა ახალი შრომა, რომელშიც განხილულია და დაფასებულია დიდი ღვაწლი გერმანელი და გერმანიაში მომუშავე სხვა ქართველოლოგებისა. აქ ჩვენს მეხხიერებაში ერთხელ კიდევ ცოცხლდება დიდებული ხალეები ისეთი გაშოჩენილი ქართველოლოგებისა, როგორიც იყვნენ და არიან: იოსებ გიულდენშტედტი, არტურ ლაისტი, ადოლფ ჰარნაკი, იოზეფ კარსტი, გრიგოლ ფერაძე, კიტა ჩხენკელი, მიხეილ წერეთელი, გერჰარდ დეეტერსი, კარლ ჰორსტ შმიდტი, გერტრუდ პეჩი, იოზეფ მოლითორი და სხვანი.

იულიუს ასფალგი წლების განმავლობაში მუშაობდა მცირე წინასწარმეტყველთა 12 წიგნის, პირველ რიგში, ამოსის, მიქეას, სოფონიასა და ზაქარიას ქართულ თარგმანებზე. მას ხელთ ჰქონდა ძველი ქართული თარგმანის შემცველი იერუსალიმური, სინური, ათონური და თბილისური ნუსხები, აგრეთვე ქართული ბიბლიის ბაქარისეული გამოცემა. ავტორი მარჯვედ იკვლევდა ქართული თარგმანის სადაურობის საკითხებს, განსაკუთრებით ბერძნულთან და სირიულთან მიმართებას, აგრეთვე ქართულის ტექსტოლოგიურ თავისებურებებს. წიგნი დასაბეჭდად (1961 წელი) უკვე გამზადებული იყო, მაგრამ ჭერჭეროში, სამწუხაროდ, არ არის გამოქვეყნებული. ამ წიგნის გამოსვლას სპეციალისტები მოუთმენლად ელიან. ასფალგს ქართველოლოგიაში სხვა ბევრი შრომაც აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მათზე სხვა დროს.

იულიუს ასფალგი დაუღალავად და ხაფუძვლიანად სწავლობს და ასწავლის ძველ ქართულ ენას, ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. ამ შესწავლის შედეგებს იგი სისტემატურად აქვეყნებს და აცნობს მსოფლიოს მეცნიერებს და საკითხით დაინტერესებულ პირებს. მისი ხაზით საქართველოს მყავს ერთგული მგზნებარე, რომელიც პატიოსნად განაგრძობს მისი წინაპრების — რიპარიდ მეკელაინის, რობერტ ბლაიხშტაინერის, გერჰარდ დეეტერსის, პაულ პეეტერსის, რობერტ ბლეკნისა და სხვათა სახახელო საქმეს. ვუსურვოთ მას ამ საქმეში ახალი წარმატებები!

ივანე იმნაიშვილი
პროფესორი

საკარხული ისტორიული წყაროები

ოქტომბერში აღინიშნება ირანის სახელმწიფოს შექმნის 2.500 წლისთავი. ამ თარიღს ეძღვნება ჯემშიდ გიუნაშვილისა და დვალი კაციტაძის მიერ შედგენილი ქრესტომათია „სპარსული ისტორიული ტექსტები“ (წიგნი I).

ქრესტომათიაში შედის ცნობილი ისტორიული წყაროების „ბალამის ისტორიის“, ნარშახის „ბუხარის ისტორიის“, ბეიხაკის „მასუდის ისტორიის“, რავენდის „რახატ ოლ-სოდურის“ და სხვათა ნაწყვეტები.

ტექსტები აშუქებენ მავერანჰარის, ავღანეთის, ინდოეთის, ირანის, ერაყის, ეგვიპტის, თურქეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს, კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას.

წიგნში დასაბეჭდი ტექსტები გადაწერილია ცნობილი კალიგრაფისა და ხელოვნებისმცოდნის ალი მინაის ხელით.

დებიუტი მსოფლიო გამოფენაზე

წლეულს, აგვისტოს დამდეგს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიხსნა სამონადირეო ნადავლის მსოფლიო გამოფენა, რომელშიც 40 ქვეყანა მონაწილეობს. ამ გამოფენაზე შედგა ჩვენი რესპუბლიკის დებიუტი. საქართველოს ექსპოზიციაში წარმოდგენილია დელესტნური ჯიხვის რქები, დათვის თავის ქალა, მგლის თავის ქალა, კოლხური ხოხბის, დურაჯის, კაკბის ფატულები, გარეული ღორის ეშვები, ნაბორის, კაკაბოსური კეთილშობილი არჩის და ვეფხვისა და ირმის რქები. სამონადირეო ექსპონატების გარდა, დამთვალიერებლებს უქმნის ფართო კინოფილმი „საქართველოს ფლორა და ფაუნა“.

ახლახან სახიბარული ცნობა მოვიდა ბუდაპეშტიდან. საქართველოდან გაგზავნილმა დელესტნური ჯიხვის რქებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს მიენიჭა საპატიო წოდება „კაკაბემიური“

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენში საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის 25 წლისთავი, რომელსაც დაარსების დღიდან უცვლელად ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ამ შესანიშნავმა მხატვრულმა კოლექტივმა მთელ მსოფლიოს გააცნო ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნება და დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა.

ამ დღეებში მოსკოვიდან მოვიდა კოლექტივის ხელოვნების ახალი აღიარების ცნობა. საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის ბრძანებით საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ხალხური ცეკვების პროპაგანდაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს მიენიჭა საკაკბემიური ანსამბლის საპატიო წოდება.

მოკლედ მოკლედ მოკლედ

წინაპართა სამშობლოში

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა დუხობორთა ჯგუფი, რომელიც შეადგინა კანადელ რესპუბლიკაში. ისინი ჩამოვიდნენ, რათა თაყვანი ეცათ თავიანთი წინაპრების მიწისათვის.

კანადელი დუხობორები იყვნენ ბოგდანოვკის რაიონში, საიდანაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბევრი მათგანი წავიდა ემიგრაციაში.

საკაკტიო მიწვევა

ვინ არ იცნობს ჩვენში ქობულეთის რაიონის წყაროს ხალხური სიმღერების გუნდ „ნადურს“ (ხელმძღვანელი — ხალხური სიმღერების ოსტატი ჯემალ ტაკიძე). ამ გუნდის მიერ შესრულებულ უძველეს ქართულ სამხმიან და ოთხხმიან სიმღერებს მრავალჯერ მოუხიბლავს მსმენელები, ფოლკლორული ნიმუშები მათი ოსტატური შესრულებით არაერთხელ ჩაწერილა.

ახლახან ფშაოს კულტურის სამინისტრომ მიიღო წერილი საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირისაგან: „ნადური“ მიწვეულია იუნესკოს მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ კონგრესზე, რომელიც გაიმართება მოსკოვში ამ შემოდგომით.

ქართველი მეცნიერი გერმანულ ჟურნალში

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბერლინის აკადემიის ჟურნალში („კლასიკური პერიოდის აღმოსავლეთის ქვეყნების ბიბლიოთეკა“) გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის პროფესორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის თამარ კუკავა ნაშრომი „შემეცნების თეორიის პრობლემები არისტოტელეს ფილოსოფიაში“.


ეს ნაშრომი პირველად დაიბეჭდა 1962 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომების მე-11 ტომში.

ფესტივალის პრიზი

ახლახან შვეიცარიაში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ტელეფილმების საერთაშორისო ფესტივალი. დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის რეჟისორის ხოტივარის ფილმმა „დარიალური ჩანახატები“, რომელსაც ფესტივალის პრიზი მიეკუთვნა.

ფილმი ახალგაზრდა რეჟისორის დებიუტია.

მოკლედ მოკლედ მოკლედ



● უკვე მეთოთხმეტედ ეშვება ჩვენს წინ თეატრ „ლა-სკალას“ მძიმე, ოქროთი მოვარაყებული ფარდა...

● ფარდის მიღმა კიდევ დიდხანს ისმის მაყურებელთა ტაშისცემა და აღფრთოვანებული „ბრავო“...

● მაყურებელთა ნახევარსაათიანი ოვაცია კონცერტის შემდეგ...

● უვავილებით გავსებული უზარმაზარი სცენა...

● ქართული ქორეოგრაფიის ტრიუმფი „ლა-სკალაში“...

ვზიმულ ბედნიერნი თეატრიდან გამოვდივართ. შუბლზე ოფლი ჯერ კიდევ არ შეგვშრობია. თეატრიდან გამოსულ მაყურებელთა დიდ ჯგუფს „ლა-სკალას“ წინა მოედანი აუვსია და ჩვენს გამოჩენას უცდის. გარეთ „მეორე კონცერტი“ გველოდება.

მილანელთა ალყაში უცბად ვექცევით. ჩვენსკენ ყვავილების წვიმა წამოვიდა „გრაციას, გრაციას“!, „ბრავო“, „ბელა ჯითრჯიანო!“ — გვესმის ყოველი მხრიდან გულწრფელი აღტაცების სიტყვები. გვიღიმიან, გვიღოცავენ, გვლოცავენ, მადლობის სიტყვებს გვეუბნებიან.

ჩვენკენ უამრავი ხელია გამოწვდილი. მათ პროგრამები, უბის წიგნაკები, ქაღალდის უბრალო ნაგლეჯები უჭირავთ. მარადია, ძალზე დაღლილები ვართ, მაგრამ საამოუნებით დავბრუნდით და უკიდურესად გართულებით საპასუხო ავტოგრაფებს.

„ბრავისიმი“, „ეროპე, ბიჭებო“! — გვესმის უცბად იტალიურ-ქართული მოლოცვა. ეს ხომ ჩვენი ზურაბ სოტკილავაა აქ, იტალიაში სასწავლებლად მოვლინებული საქართველოდან. იგი გვიახლოვდება, აღტაცებულია და გულში გვეკვრის.

როგორც ყველა კონცერტს, ისევე ავტოგრაფებსაც დასასრული აქვს. დიდი გაჭირვებით გაღწევთ თავს ტამპერამენტიან მილანელთა „ტყვეობას“ და თეატრ „ლა-სკალას“ გვერდით, ლეონარდო და ვინჩის მოედანზე მდებარე პატარა კაფე-რესტორნისაკენ მივეშურებით საგახშმოდ.

იმის მიუხედავად, რომ უკვე გვიანი არის, კაფე ხალხით გაჭედილა. აქ უმთავრესად თეატრიდან გამოსულ მაყურებელს მოუყრია თავი. მილანური წვიმა. ფინჯან ყავასთან და ჭიქა ღვინოსთან ერთიანობის უზარმაზარ წარმოდგენისაგან მიღებულ მთაბეჭდილებებს.

შემოგვლისთანავე გვცნობენ. თვალებით, ჩვეულებით გვაღიმებენ, რომ აღტაცებული არიან ქართული ცეკვებით. ზოგან ტაშიც კი გაისმა.

ვეახლოვდებით რესტორნის კუთხეში მდგარ თავისუფალ მაგიდას და მარდი ოფიციანტიც უმალვე ჩვენთან ჩნდება.

ზურაბ სოტკილავა თავისი იტალიურით გვესმარება შეწიოს ამოცანაში. ვკვეთთ შუბუშუ ვასშაბს და, რა თქმა უნდა, „სპაგეტის მილანურად“.

— რომელ სასმელს მიირთმევთ? — გვეკითხება ოფიციანტი.

ემპატიურად ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში.

დღეს „ლა-სკალაში“ ქართული ქორეოგრაფიის გამარჯვების დღეა და ითით ჭიქა იტალიური ღვინო არ გვეყოფდა, — გამოგვაქვს საერთო აზრი.

რამდენიმე წუთში სუფრა ოფიცანტა სამეღვინესთან შეგვლაბარებს, მოწვდილ ხითოს ხსნის და ჭიქებს გვაწვდის.

— რომელიღაც იტალიელ მაყურებელს რომ არ დავეჯახოთ, ალბათ, მეზუთე იარუსის ლოჟიდან პარტერში აღმოვჩნდებოდით, — სიცილით გვეუბნება ზურაბი, ჭიქას მაღლა სწევს და ბედნიერი სახით, კიდევ უფრო ბედნიერებს გვილოცავს მსოფლიოს პირველ სცენაზე ტრიუმფულ გამარჯვებას.

— შენც მალე გვენახე „ლა-სკალას“ სცენაზე გამარჯვებული, ზურაბ!

„ერაკვაკლი ქაქიერი“ ლონდონარდოს ეროვნებაზე

ჭიქები იცლება.

სასმლისფერი „კიანტი“ ძალაში შედის.

მეზობელი სუფრიდან მილანელები გვადღეგრძელებენ. ჩვენ მათ თავაზიან მადლობას ვუხდით.

— აბა, ბიჭებო, ერთი პატარა...

შოთა სოფერია ჩუმი ხმით იწყებს „მრავალჟამიერს“. პირველს ზურაბი, ბასს კი ანზორ ნიკოლაიშვილი, ომარ მხეიძე, თამაზ კიკალიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი ვეუბნებით. სიმღერა ჩვენთან ერთად თანდათან ვუხში შედის. მუსიკალური იტალიელები სმენას ამახვილებენ და ფარულად ჩვენი მაგიდისაკენ იხედებიან. კაფეში სრული სიჩუმე ისადგურებს. ახლა უფრო მკვეთრად ისმის დიდებული ქართული სიმღერა.

— მრავალჟამიერ ისარე, ჩემო სამშობლოვ, შორეული მილანიდან გლოცავენ შენი ერის სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

მოულოდნელად თეთრწინსაფრიანი, ხანში შესული ტანდაბალი მამაკაცი მოდის ჩვენთან. ეს გვონებ კაფეს მეპატრონე უნდა იყოს.

— ო, სინიორე, მაპატიეთ, მაგრამ კაფეს თავზე სასტუმროა მოთავსებული. ახლა კი თითქმის შუაღამეა და გთხოვთ, ნუ იმღერებთ.

ჩვენ მას ბოდიშს ვუხდით და ვეჩუმდებით.

მაგიდასთან კიდევ ერთი იტალიელი მოდის მეზობელი მაგიდიდან.

— ბატონებო, სიმართლე უნდა გითხრათ, თქვენ ისეთი შესანიშნავად მღერით, როგორც ცეკვავთ, — გაკვირვებული გვეუბნება იგი, გვადღეგრძელებს და გვთხოვს კიდევ ვიმღეროთ რაიმე — ქართული.

კაფეს მეპატრონე უკმაყოფილოდ იჩურს მხრებს და სადღაც მიდის.

— რა ვიმღეროთ, ბიჭებო? — ვეკითხებით ერთმანეთს და უთვალავი ქართული სიმღერიდან უცბად ვერც ერთს ვერ ვარჩევთ.

— ზურაბ, წამოიწყე რამე,— ვთხოვთ ზურაბ სოტკილავას და ისიც მცირე პაუზის შემდეგ იწყებს „სისატურას“...

მთელი კაფე ირინდება. დარბაზს ეფინება ტკბილი და მოხიბლველი ქართული მელოდია... უსიტყვო მესამე კონცერტი.

კაფეს პატრონი ჩვენთან ბრუნდება. ხელში ორი მოგრძო ბოთლი უჭირავს. იგი მაგიდასთან დგას და მოჯადოებული უსმენს სიმღერას. შემდეგ ბოთლებს ჩვენს მაგიდაზე დგამს.

— სინიორე! ეს ჩემი საკუთარი ხელით დაწურული ღვინოა, დიახ... დიახ... საოჯახო. გთხოვთ სთმოვნებით მიიღოთ. თქვენ მართლაც შესანიშნავი ხალხი ხართ და მშვენივრადაც მღერით. ჩვენ გვეამყარს სიმღერები. იმღერეთ, გეთაყვა, რამდენიც გენებოთ. ვფიქრობ, ასეთი ტკბილი მოღვინით არავის შეუწუხებთ.

ქართულ სიმღერას იტალიური ცვლის, მთელი კაფე მღერის. ნამდვილი მეგობრული საღამოა.

დიახ, ქართველს შეუძლია უცბად მოიხიბლოს უცხოელის გული, დაუმეგობრდეს, მოიხიბლოს და მოაჯადოვოს განუმეორებელი ქართული სითბოთი.

ჟელაზე მეტად ახლა რესტორნის პატრონი შეიარულობს. მას დიდი ხანია დააგიწყდა, რომ კაფეს თავზე სასტუმროა. ჩვენთან ერთად ღიღინს და გაიხარებს, კიდევ დიდხანს დარჩენა მასთან. შემდეგ დიმილით გაგვიცილებს, სასაუზმოდ სურათებს, ავტოგრაფებს გვართმევს სანუკვარად, გვპატიჟებს შემდგომაოდის და გვპირდებარება, ყოველთვის მისი სტუმრები ვიყოთ. ეს დიდი პატივი ჩვენთვის და რესტორნისათვისაც საუკეთესო რეკლამა იქნებაო.

...კიდევ დიდხანს გვმშვიდობებით პატარა კაფე-რესტორანს, რომელიც ლეონარდოს მოედანზეა დიდებული „ლა-სკალას“ გვერდით...

თენგიზ უთმელიძე

მილანი-თბილისი.



ქართული სიმღერები მილანის ქუჩებში...

ავტორის ფოტო

ჩვენი დღევანდელი მწერლობა



ქართული მხატვრული მწერლობა საუკუნეებს ითვლის. ჩვენი დიდი წინაპრები, ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები, საფუძველს უყრიდნენ, აშენებდნენ ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შექმნილი ნაწარმოებები, მათი ავტორები, წინაპართა ღირსეული მემკვიდრენი არიან.

ამ პერიოდის ლიტერატურის განვითარების თაობაზე გთავაზობთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის საუბარს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან.

— ბატონო გრიგოლ, საყოველთაოდ ცნობილია, რა მდიდარია ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა და ლიტერატურული ტრადიციები. საუბარს კი ასე შორიდან ნუ დავიწყებთ. ჩვენი თხოვნა იქნება, მოკლედ გვითხრათ ეროვნული ლიტერატურის მიღწევებზე უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.

განვლილი 50 წელიწადი მართლაც, რომ ისტორიული დრო იყო. არნახული გასაქანი მიეცა ქართულ ხელოვნებას, თეატრსა და კინოს, მუსიკასა და მხატვრობას. არაჩვეულებრივად გაიზარდა ქართული გაზეთისა და ჟურნალის, ქართული წიგნის ტირაჟი. საგამომცემლო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის წინსვლასა და დავაჟკაცებას. დადგა დრო ეროვნული ლიტერატურის გაფურჩქვნისა და აყვავებისა.

50 წლის წინათ ჯერ კიდევ ცოცხალნი და შემოქმედებითუნარიანნი იყვნენ ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი.

ოციან წლებში დაგვკაცდა და ჩვენს დრომდე მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ქართული მწერლობის ის შესანიშნავი თაობა, რომელთა რიგებს ამშვენებდნენ ერთი მხრივ მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე და ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია და სერგო კლდიაშვილი, მეორე მხრივ გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სანდრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე და შალვა დადიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე.

— ამ მწერლების შემოქმედება ერისათვის ძვირფასი საგანძურია, თითოეულმა, ვინც ახლა დავასახელეთ, ღირსეულად მოიხადა მამული შვილური ვალი ქვეყნის წინაშე. მაგრამ ახლა დგას მეორე საკითხი, ამაღელვებული და დამაფიქრებელი. ლაპარაკია დღევანდელ მწერალთა მიერ გავლებულ ხნულზე და ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ „შვილი არ ობებს მამას“. თქვენ როგორ ფიქრობთ?

დიახაც რომ შეუძლია ქართულ მწერლობას იამაყოს „შვილებით“ — მწერალთა იმ ახალი თაობით, რომელიც უკანასკნელ ათეულ წლებში მოვიდა. ახლა ჩვენი ლიტერატურული პერიოდიკაც, ჩვენი გამომცემლობებიც, უმთავრესად, მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებს ბეჭდავენ. ბუნებრივია, რომ მათი ახალგაზრდული ენერგია ჯერ კიდევ ამოუწურავია და მწერალთა ეს თაობა დიდხანს დარჩება ჩვენი ლიტერატურის აქტიურ ძალად.

ნაყოფიერად მოღვაწეობენ მწერალთა უფროსი თაობების შესანიშნავი წარმომადგენლებიც. ეს ის მწერლები არიან, რომლებიც ოცდაათიანი წლებიდან დღემდე ქართული ლიტერატურის წინა ხაზზე და რომელთაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინეს ახალ ქართულ პოეზიას, პროზასა და დრამატურგიას.

თაობათა ცვლა ბუნებრივი ლიტერატურული პროცესია. მწერლობის უფროსი და უმცროსი თაობები ახლა ისე როდიღა არიან დაპირისპირებული, როგორც, ვთქვათ, ძველად, ოციან წლებში იყო. ჩვენს მწერლობას ერთიანებს ერთი საერთო იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, საბჭოთა სულისკვეთება. ამიტომ ახალ თაობებს შორის ადგილი აღარა აქვს მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ლიტერატურაში მოსაწყენი ერთფეროვნება იყოს დამკვიდრებული. პირიქით, ყველა თაობას მოაქვს ახალი სათქმელი და გამოთქმის ახალი ფორმების ძიება დამახასიათებელია ყველა მნიშვნელოვანი მწერლისათვის,

ყოველი ნიჭიერი მწერალი მკაფიო ინდივიდუალობას წარმოადგენს და დღევანდელი ჩვენი მწერლობა სწორედ ამით არის მდიდარი. მე აქ არ ჩამოვთვლი ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა შეიყვარა და ღირსეულად დააფასა. ეს წიგნები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

— რა სიახლეა ქართული და სხვა ერების ლიტერატურის ურთიერთობის სფეროში?

უკანასკნელი წლების ქართული სალიტერატურო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია მწერალთა კავშირის ინიციატივით ორი ალმანახის — „ხომლისა“ და „ცისარტყელას“ დაარსება.

„ცისარტყელა“ მოწოდებულია იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს გააცნოს მოძმე საბჭოთა ხალხების ახალი მიღწევები ლიტერატურაში. „ხომლი“ კი საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურის ალმანახია. „ხომლს“ ხელმძღვანელობს ჩვენი ცნობილი მწერალი და თვითონ შესანიშნავი მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე. მისივე ინიციატივით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ წამოიწყო დიდი ეროვნულ-კულტურული საქმე — „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოცემა. ეს ბიბლიოთეკა გამოვა 80 ტომად და საგრძნობლად შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ გვქონდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრების თარგმნის საქმეში.

როგორც ყოველთვის, ქართველი მწერლები ახლაც მჭიდრო კავშირში არიან მოძმე რესპუბლიკების მწერლებთან. რუსულ ენაზე გამოვიდა არაერთი წიგნი ქართველი ავტორებისა, რუსული სალიტერატურო პერიოდიკა დიდ ადგილს უთმობს ქართულ მწერლობას.

უკრაინაში დეკადისათვის გამოიცა ქართული მწერლობის ბიბლიოთეკა, ისევე როგორც ჩვენში უკრაინული მწერლობის ბიბლიოთეკა. ლატვიაში დაიბეჭდა ქართული პოეზიის ანთოლოგია. ასეთივე ანთოლოგიები მზადდება სხვა მოძმე ხალხთა ენებზე.

გაცხოველდა კონტაქტები როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების ლიტერატორებთან. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია. ბერლინში მზადდება ქართული პროზის ანთოლოგია, ხოლო ცნობილი მთარგმნელი ბუდენზიგი მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანზე.

სასარგებლო მთარგმნელობით მუშაობას ეწევიან ჩვენი შეიცარიელი მეგობრები — ქართველოლოგები, რომლებიც უშუალოდ დედნიდან თარგმნიან ქართული ლიტერატურის ნიმუშებს.

ბულგარეთისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობა XIII საუკუნეში გაწყდა და მხოლოდ ახლა ხდება ჩვენი ხალხების სულიერი კავშირის აღდგენა-გაფართოება. პიტმა მუხრან მაჭავარიანმა თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ბულგარული პოეზიის ანთოლოგია.

— რა არის დღეს ქართული მწერლობის მთავარი პრობლემა?

თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ქართულ მწერლობას ბოლო დროს ბევრი წარმატება აქვს, ბევრი რამ არის საინტერესო და თვალსაჩინო. მთავარი ის გახლავთ, რომ ყოველი თემა, ყოველი განწყობილება, ადამიანის სულის ყოველი მოძრაობა გამოხატოს დიდი ვნებებით, დიდი მასშტაბით, ქვეყნის ინტერესებისა და ხალხის სულიერი ცხოვრების შეგრძნებით. ქართული მწერლობის მთავარ პრობლემად კვლავ რჩება — შეიქმნას დიდი, ღრმა იდეურობითა და ემოციურობით გამსჭვალული ტილოები, რომლებიც ასახავენ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანების ბრძოლასა და შრომას, მათ სისხლსავსე ცხოვრებას.

რუსთაველის პრემიის ლაურეატები



არჩილ სულაკაური სრულიად ახალგაზრდა გაიცნო ლიტერატურულმა სამყარომ. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის ლექსებმა, რომლებიც ალმანახ „პირველ სხივში“, ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებში იბეჭდებოდა, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და ხალხი ნიჭის ქომაგთა დიდი სიმპათია დაიმსახურა.

ნააზრევისა და განცდილის უშუალო, გულწრფელი გამოხატვა, თითქოსდა გარეგნულად სადა ლექსებში შეფარული რთული განწყობილება, ქვეტექსტებით მინიშნებული სათქმელი, ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გრძნობით შთაგონებული აღტაცება და გულისწყრომაც, კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა სულაკაურის პოეზიას.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს არჩილ სულაკაურმა დაბეჭდა თავისი პირველი მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“. ამას ზედიზედ მოჰყვა სხვა მოთხრობები, შემდეგ კი რომანი „ოქროს თევზი“.

უკანასკნელ ხანს არჩილ სულაკაური ნაყოფიერად მოღვაწეობს საბავშვო ლიტერატურაში. მისი ნაწარმოები „სალამურას თავგადასავალი“ აღიარებულია ახალ სიტყვად ქართულ მწერლობაში. იგი ძალზე სასარგებლო, საჭირო წიგნია ბავშვებისათვის.

და აი ქართული მწერლობის ღირსეულ მემკვიდრეს წილად ხვდა დიდი ბედნიერება — წლეულს არჩილ სულაკაურს ზღაპრისათვის „სალამურას თავგადასავალი“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ზღაპრიდან.

სალამურას თავგადასავალი

უფლისწულის უცნაური სიზმარი

ერთხელ ქონდარეთის ხელმწიფის ვაჟმა უცნაური სიზმარი ნახა...

ეს სიზმარი იმდენად საინტერესო შეჩვენება, რომ ამბის მოყოლა აქედან დავაპირე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მართლაც, რა დროს ხელმწიფის ვაჟის სიზმარია, როცა თქვენ ესიც კი არ იცით, რა ქვეყანაა ქონდარეთი, ანდა ვინ არის მისი ხელმწიფე.

სიმართლე თუ გინდათ გაიგოთ, ასეთ ქვეყანას, სახელგანთქმული მოგზაურიც რომ იყოთ, ახლა ვერსად აღმოაჩენთ. მე კი სარწმუნო წყაროებიდან ვიცი: ქონდარეთი ნამდვილად არსებობდა. მაშინ სხვა დრო გახლდათ, მაშინ მთელი დედამიწა მხოლოდ მშვენიერი ზღაპრული ქვეყნებით იყო დასახლებული. და ამ მშვენიერ ქვეყნებში ცხოვრობდნენ თქვენთვის ცნობილი და საყვარელი ზღაპრების გმირები.

ყველა ზღაპარი, რომელიც თქვენ გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ, რა თქმა უნდა, იმდროინდელია.

მაშ, ასე! დავიწყოთ თავიდან:

მაღალი მთებიდან ბარისკენ მოიჩქაროდა ატეხილ ჭალებში ჩაფლული მდინარე ჩქაფუნა. მთის მდინარე, როგორც კი ბარში ჩამოვიდოდა და გაფაკებდა, ორად იტატებოდა. სწორედ იმ ტოტებს შორის იყო მოქცეული ქონდარისკაცების ულამაზესი ქვეყანა ქონდარეთი.

ქონდარეთს განაგებდა ხელმწიფე ქონდარ XV.

ქონდარ XV ამაყობდა მეფური შთაზომავლობით. თუმცა ყველაზე მეტად მაინც ის აამაყებდა, რომ თავისი ქვეყნის მეთხუთმეტე მეფე იყო. არც მეტი, არც ნაკლები. საშინლად დაწყდებოდა გული, მეთოთხმეტე ან მეთექვსმეტე მეფე რომ ყოფილიყო.

რას იზამ, კაცია და გუნება!

ქონდარეთს დედოფალიც ჰყავდა. დედოფალს ერქვა ქონდარინე. ამბობენ, ახალგაზრდობაში თითქმის მზეთუნახავს ჰგავდაო. მაგრამ მას შემდეგ, რაც დედოფალი გახდა და ქვეყანას უფლისწული აჩუქა, მეტისმეტად გასუქდა.

ხელმწიფის პირველ ვეზირს — ქონდართუხუცესსაც ბევრი რამ ჰქონდა საამაყო, თუმცა, ქედმაღლობაში არ ჩამომართვანო, მხოლოდ თავისი უზარმაზარი ცხვირით ამაყობდა, განსაკუთრებით კი ცხვირზე წამოსკუპებული მეჭეჭით. ცხვირს რომ დააცემინებდა, ტყეში ფრინველი ფრთხებოდა. მერე ერთსა და ორს კი არ გაკმარებდათ, ისეთ ცხვირის ცემინებას ასტეხდა, გეგონებოდა, ომი დაწყოო.

ქვეყანაზე არც ერთი ქალიშვილი ისე არა ჰგავს მამას, როგორც ფრინტა ჰგავდა ქონდართუხუცესს. პირველ ვეზირს ძალიან უყვარდა თავისი ქალიშვილი და ყოველდღე ეუბნებოდა, თუ გინდა მზეთუნახავი გახდე, მზეს ნუ დაენახვებიო. თანაც ოსტატებს ისე ააგებინა სასახლე, რომ ფრინტას ოთახის სარკმელი პირდაპირ მისჩერებოდა უფლისწულის ფანჯარას.

უფლისწულმა მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი თავისი ფანჯრიდან ფრინტას ცხვირს და ქონდართუხუცესის ქალიშვილისაკენ მეორედ აღარ გაუხედავს.

მართლა, სულ გადამაჭიანურა უფლისწულს ქონდარული ერქვა ერთხელ მეტად უცნაური სიზმარი ნახა. თუმცა ქონდარული, ალბათ, ვერასოდეს ნახავდა სიზმარს, ერთი მეზღაპრე რომ არ ჰყოლოდა მიჩვნილი. ეს მეზღაპრე, როგორც უფლისწულს ჩაეძინებოდა, დაუჯდებოდა სასთუმალთან და ზღაპრებს უყვებოდა. სწორედ ზღაპრები იყო მიზეზი მისი სიზმრებისა — რასაც მეზღაპრე უამბობდა — იმას ხედავდა ძილში უფლისწული.

ქონდარული თითქმის ძილში გაიზარდა.

ღამით ხომ ეძინა და ეძინა, არც დღისით იკლებდა ძილს. ამიტომ დღე-ღამის განმავლობაში უამრავ სიზმარს ხედავდა ხოლმე. მაგრამ ის, რაც ახლა მინდა გიამბოთ, არაფრით არ ჰგავდა ადრე ნანახ სიზმრებს.

მსუყე და გემრიელი სადილის შემდეგ უფლისწულმა ჩვეულებისამებრ დაიძინა. ჯერ ისევ დღე იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღისით, მზისით, დამე დაესიზმრა. ეს, ალბათ, მეზღაპრის ბრალი იყო. როგორც ეტყობა, მოსწყინდა სულ მუდამ ფუნთუშა ღვეზელებსა და მოშიშხინე ტაფებზე ზღაპრების მოყოლა და ციცინათელების ქვეყნის მზეთუნახავის ზღაპარი უამბო.

უფლისწულს მართლაც დაესიზმრა ციცინათელების ქვეყანა და მზეთუნახავი. მზეთუნახავს ბაიას ყვითელი ფურცლებისაგან შეკერილი კაბა ეცვა და, ციცინათელებით გარშემორტყმული, ტყეში მიდიოდა.

ოჰ, რა ლამაზი მზეთუნახავი იყო!

მანათობელი მწერგები გზას უნათებდნენ, სიყვარულით თავს ევლებოდნენ და დასციმციმებდნენ. თუ ციცინათელა დაიღლებოდა, ერთი წუთით მზეთუნახავის თმაში ჩაიძინებდა. მერე ისევ ამოფრინდებოდა და თავის ქალბატონს წინ მიუძღოდა.

ციცინათელები ხშირად ინაცვლებდნენ ერთმანეთს, ამიტომ მზეთუნახავის თმა ისე ბრჭყვიალებდა, მარგალიტებით მოოჭვილი გეგონებოდათ.

როცა ქონდარუხს გაეღვიძა, გაოცებისაგან თვალები დაჭყიტა. ასეთი სიზმარი არასოდეს ენახა. აქამდე მას ყოველთვის სამზარეულო ესიზმრებოდა. ესიზმრებოდა, როგორ ცხვებოდა ღუმელში ფუნთუშა ფქვილი, როგორ იწვებოდა და შიშხინებდა ტაფაზე ხაინ-ხაინი ძეხვები და კუპატები. ახლა კი, უცებ მზეთუნახავი დაესიზმრა, ისიც ციცინათელების ქვეყნის მზეთუნახავი.

ამ სიზმრის შემდეგ ქონდარუხს სასახლეში ვეღარავინ ცნობდა.

გამოიცვალა.

აღარც ჭამდა და აღარც სვამდა. თავის საყვარელ უგემრიელეს საჭმელებს პირს არ აკარებდა: ძველი მზარეული დაითხოვეს და ახალი მოიყვანეს. მეზღაპრეც გამოცვალეს. ქონდარუხს მაინც არაფერი ეშველა.

— მომიყვანეთ ციცინათელების ქვეყნის მზეთუნახავი! მე მინდა, მასთან ერთად ვითამაშო! — ღრიალებდა უფლისწული.

სასახლის კარი საგონებელში ჩავარდა. არავინ იცოდა, ვინ იყო ციცინათელების ქვეყნის მზეთუნახავი, ანდა საიდან უნდა მოეყვანათ?





ბათუმში მომავალ მეგობართა მსახიობებმა დამაგალეს — აუცილებლად წადი თეატრში, თუ ყველა სპექტაკლი არა, „დონ სეზარ დე ბაზანი“ მაინც აუცილებლად ნახე და გოგი ჭავთარაძეს ჩვენი დიდი მოკითხვა გადაეცით.

ცოდვა გამოტეხილი სჯობს: [illegible] დანივე არც მიფიქრია ყოველ საღამოს თეატრში მევლო. საამისო არც [illegible] მქონდა და არც სურვილი — [illegible] „დონ სეზარის“ ნახვა [illegible] გულით მინდოდა. მინდოდა [illegible] იმიტომ, რომ ამ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი. ჩვენში (და არა მარტო ჩვენში!) ძალზე ცნობილი და საყვარელი მსახიობი ბიძი ჭავთარაძე.

ბათუმში ჩასული პირველსავე დღეს თეატრალურ აფიშასთან მოვხვდი. მხოლოდ იმ საღამოს გადიოდა ჩემთვის სასურველი სპექტაკლი. საქმე დროზე დავამთავრე და საღამოს მართმა გავწიე თეატრისაკენ. ვნახე „დონ სეზარი“ და... ყველა მომდევნო საღამოც თეატრში გავატარე.

რითი მომხიბლა ბათუმის თეატრის სპექტაკლებმა ახე, რომ თითოეულის შემდეგ სხვა წარმოდგენის ნახვის სურვილი მიჩქარდა? სოლიდურობით, სიახლით, ძალზე საინტერესო რეჟისორული და აქტიორული გადაწყვეტით. თეატრმცოდნე არ გამხდარა და, ცხადია, ჩემთვის ძნელია სათანადოდ შევაფასო ესა თუ ის დადგმა, რომელთაც, შეიძლება აკლდათ კიდეც სრულყოფა, მაგრამ მე, როგორც რიგით მაყურებელს, ბათუმელთა სპექტაკლები დიდ სიამოვნებას მანიჭებდა და მაიძულებდა ისევ და ისევ თეატრში სიარულს. და როგორ მიხაროდა, როცა ვხედავდი, რომ თეატრი ყოველდღე მაყურებლით იყო სავსე!

ერთ საღამოს სპექტაკლის შემდეგ გოგი ჭავთარაძეს დავეწიდე და, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორღაც მაღელვებდა კიდეც ეს შეხვედრა. გოგის აქამდე ვიცნობდი როგორც ხასიათით როლების ბრწყინვალე შემსრულებელს თეატრსა და კინოში, ახლა კი უნდა შეხვედროდი როგორც ძალზე სოლიდური თეატრის მთავარ [illegible] ერთი სიხარუ[illegible] ჩემთვის როგორც [illegible] გოგის მიერ გაცო[illegible] სცენასა თუ ეკ[illegible] — ბურთული იყო ეს, კოჭო[illegible] ჯაფილი თუ საქვეყნოდ [illegible] ჭაბუკი კინოფილმიდან [illegible]ილი“ (ამ ფილმმა მსოფლიოს [illegible] ქვეყნის ეკრანები მოიარა და [illegible] საერთაშორისო კონკურსზე აღიარება პოვა). ამჯერად გოგი (უკაცრავად, გიორგი ჭავთარაძე!) გავიცანი როგორც შესანიშნავი თეატრალური კოლექტივის დაკვირვებული, გონიერი, ნიჭიერი ხელმძღვანელი.

საუბარი რეპერტუარით დავიწყეთ, გოგამ კედელზე გაკრულ აფიშაზე მიმითითა — ვაჟა-ფშაველას „ორი პიესა“ („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“), პაპუნ ლორიას „განთიადი სევდა“ („დედა მურადი“), კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციხესთან“, ნიკოლ დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“, გალერიან კანდელაკის „დრო 24 საათი“, ალექსანდრე ხვიძის „ხიდი“, შექსპირის „მეორმოცდა ცამეტე“, გაბონ დარასელის „ცეკვები“ — აი ასპარეზი ხან ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის რეპერტუარისა.

● რომელ პიესას?

— ჩემი არჩევანი არასოდეს არის შემთხვევითი. ნაწარმოები აუცილებლად ყოველმხრივ უნდა გვაკმაყოფილებდეს. ხდება ხოლმე, წაიკითხავ პიესას და თითქოს სწორედ ასეთი ნაწარმოები გეჭირდება, სადაც ნაჩვენებია დღევანდელობა, თანამედროვე კონფლიქტები. მაგრამ ყველაფერი ეს ისე უღიმღამოდ, ისე ბანალურად არის გადაწყვეტილი, დიალოგები ისე უინტერესო და პრიმიტიულია, რომ ნათელია: ასეთი გმირი არ ააღელვებს დღეს ჩვენს საზოგადოებას, მაყურებელს მოგწყინება მისი მოსმენა. თანამედროვე ადამიანი, ახლობელი, ცოცხალი, გაბედული, უშიშრად რომ ამკვიდრებს ნათელ ხვალინდელ დღეს — აი ასეთი გმირი გვიზიდავს ახლა.

● ასეთი გმირის ჩვენება კი თითქოს ძალზე ადვილია და ძალ[illegible]ზე ძნელიც...


— რასაკვირველია. დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყო, რომ შეძლო უბრალო, ჩვეულებრივი, მაგრამ საინტერესო ადამიანი ასეული უბრალოდ, ჩვეულებრივად განასახიერო.

● რა განაპირობებს პიესის წარმატებას?

— ავტორის პიროვნების, მისი სურვილების, მისი მოქალაქეობრივი პოზიციების, ჩვენი დღევანდელობისათვის დამახასიათებელი რთული მოვლენების ჩვენება და, ბოლოს, გამბედაობა და სითამამე — იარო ჯერ კიდევ გაუკვალავი გზით — აი პიესის წარმატების უპირველესი პირობა.

● გასტროლებისას ყველაზე უკეთ გამოჩნდება ხოლმე თეატრის ღირსებებიც და ნაკლეკი. როგორი კმაყოფილი ხართ თბილისში თქვენი თეატრის გასტროლებით?

ხელოვნების საიმედო გზით



— ეს ერთგვარი ანგარიში იყო ბათუმის თეატრისა და, რასაკვირველია, პირადად ჩემიც დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე. როგორც გაზეთები წერდნენ და როგორც პირადადაც გვეუბნებოდნენ, ჩვენმა წარმოდგენებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

● ამბობენ, თეატრს შეუძლია გააცოცხლოს ან მოკლას პიესა. რა აზრისა ბრძანდებით ამაზე?

— ეს მაშინ ხდება, როცა პიესას ირჩევენ მხოლოდ მიდის მიხედვით და არა იმიტომ, რომ ეს იყო შესაძლებლობა, რეჟისორის, მთელი თეატრის ორგანული მოთხოვნილება.

● თეატრის ტრადიციებზე რას იტყვით?

— თეატრს საკუთარი სახე, სტილი, ხელწერა, გარკვეული ტრადიციები აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს გატკეპნილი გზით სიარულს, ძველის ტრაფარეტულ გამეორებას. გამოსახვის ახალი საშუალებანი, პრინციპები, სისტემატურად უნდა ინერგებოდეს თეატრში.

● ბათუმი ზღვისპირა ქალაქია. აქ ხშირად შემოდიან უცხოური გემები. ხომ არ მასპინძლობდა თქვენი თეატრი რომელიმე უცხო ქვეყნის ტურისტებს?

— რამდენიმე ხნის წინათ ბათუმში იმყოფებოდნენ შვედები. რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. როცა შევთავაზეთ ენახათ შექსპირის „მეთორმეტე დამე“, გაუკვირდათ. ასევე ადმოჩენა იყო მათთვის, რომ ჩვენ ვდგამთ ჟან ანუის „ანტიგონეს“, წარმოიდგინეთ, „ხიდის“ ნახვაც მოისურვეს და თეატრიდან კარგი შთაბეჭდილებით წავიდნენ. გერმანელი სტუმრებიც გვყავდა, ინგლისელებიც.

● კარგა ხანია ეკრანზე არ გვინახიხართ. ნუთუ სულ შემოსწყერით კინოს? არაფერს გვპირდებით ახალს?

— მოსკოვის გორკის სახელობის კინოსტუდიამ გადაიღო კინოკომედია, რომელშიც მე სოფლის სასულე ორკესტრის კაპელმაისტერს ვთამაშობ. ფილმი მალე გამოვა ეკრანებზე. ლენინგრადში კი კინოსტუდია „ლენფილმში“ მიწვეული გარ აბელ ენუქიძის როლზე. აბელი ძალზე საინტერესო პიროვნება იყო, მრავალმხრივი, განსაკუთრებული. ეკრანზე ეს პიროვნება ჯერ არავის უჩვენებია და, ამდენად, მისი განსახიერება საპატიოც არის, საინტერესოც და პასუხსაგებიც.

● და, ბოლოს, რას იტყოდით თეატრის მომავალ გეგმებზე?

— ჩვენი თეატრი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე და მომავალშიც ხელოვნების ამ დიდი და საიმედო გზით ივლის.

ლია მიქაძე.

სურათზე: გიორგი ჭავთარაძე აბელ ენუქიძის როლში.

შემთხვევა ურეკის კლაჭზე

დელფინმა შველა ითხოვა

ქურორტ ურეკის პლაჟზე ჩვეულებრივი დღე იყო. დამსვენებლები ბანაობდნენ, მზის აბაზანებს იღებდნენ... 11 საათზე ნაპირთან ახლოს მოულოდნელი „სტუმარი“ გამოჩნდა— ზვირთებს რის ვაივაგლახით მოარღვევდა დელფინი. ცხოველი ზედ ნაპირთან მოცურდა და მოძრაობით თითქოს რაღაცას ანიშნებდა ადამიანებს. დელფინს გარს შემოერტყნენ მაშველი სადგურის მოცურავეები, დამსვენებლები... ადამიანებმა ყურადღებით დაათვალიერეს დელფინი— მას მარჯვენა გვერდზე ჭრილობა აღმოაჩნდა, დაშავებოდა ლაყუჩებიც. იხმეს სადგურის ექთანი ნინო ურუშაძე. მან საგულდაგულოდ გაასინჯა უჩვეულო პაციენტი. ჭერ იყო და, ტკივილის დამაუნჯებელი ამპები მიაწოდა, დელფინმაც არ დააყოვნა და სიამოვნებით მიიღო საჭირო დოზა. მაგრამ, ეტყობოდა, ტკივილები მაინც და მაინც არ დაჰყუჩებოდა. ახლა სხვა საშუალება ცადეს, შემდეგ დაშავებულ ადგილებზე ექთანმა იოდი და მწვანე ხსნარი წაუსვა და მოხდა „საოცრება“—მიყუჩებული დელფინი გამხიარულდა, მოძრაობა დაიწყო, თან „მადლობის ნიშნად“ ადამიანებს ეცეროდა— კარგა ხნის შემდეგ მხიარულად მოიქნია ბოლო, რამდენიმე გამოსამშვიდობებელი წრე შემოავლო იქაურობას და ზღვას მისცა თავი.

საღამოს კი ნაპირთან დელფინების მთელი ჯგუფი მოცურდა, მათ შორის უველაზე მეტად გამოირჩეოდა გონიერი პაციენტი. ცხოველები თითქოს მადლობას უხდიდნენ ადამიანებს დახმარებისათვის.


გეგლარ ჩხეიძე

სურათზე: დელფინი ურეკის პლაჟზე.

ომარ მკურნალიძის ფოტო



ბოჰემა



ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში რსფსრ სახალხო არტისტის, ვალენტინ ფილატოვის ოთხფეხა „მსახიობთა“ გასაოცარ მუშაობას სარბიელზე, მის სახელგანთქმულ „დათვების ცირკს“. გვონებ, აღარ დარჩა საცირკო ჟანრი, მისი აღზრდილები რომ ვერ დაუფლებოდნენ. დათვები ჟონგლიორობენ, გორგოლაჭებითა და ველოსიპედებით, მოტოციკლებითაც კი დასეირნობენ, რთული ტანვარჯიშულ და აკრობატული ილეთების დემონსტრირებას ახდენენ. ამ წარმოდგენის ნახვისას არა მგონია დაფიქრებულიყავით იმაზე, თუ როგორ და საიდან მოდიან დათვები მომთვინიერებლებთან. მხეცები ცირკში მოჰყავთ მონადირე-ნადირთმჭერებს, რომელთა უძნელეს შრომაზე იშვიათად წერენ.

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ვალენტინ ფილატოვს თბილისელ ნადირთმჭერ არკადი რევაზიშვილთან, რომელმაც ამ საქმეს თავისი სიცოცხლის მრავალი წელიწადი შესწირა. ყოველთვის, როცა კი სარეწიდან ბრუნდება, არკადი მზრუნველობით უვლის, ზრდის და კვებავს დათვის ბელებს, ყოველნაირად ცდილობს, რომ მისი ნაამაგარი ცირკში ჯანმრთელნი და ღონიერნი მოხვდნენ.

არკადი თბილისის ცირკის ხშირი სტუმარია. მას საოცრად უყვარს ცირკი, მაგრამ განსაკუთრებული მღელვარებით ადევნებს ხოლმე თვალყურს ცხოველთა გამოსვლებს. მათ შორის ხომ მისი აღზრდილებიც ურევიან. 40-ზე მეტი დათვი გადასცა არკადიმ ცირკს და დღეს ეს დათვები წარმატებით გამოდიან უდიდეს საცირკო ატრაქციონებში.

ბევრი თბილისელი კარგად იცნობს სახლს საბადურის ჭუჭაზე, სადაც არკადი რევაზიშვილი ცხოვრობს. ამ სახლის კარი ყოველთვის ღიაა სტუმართათვის. ხელგაშლილი, გულღია მასპინძელი თავის სტუმრებს მოჰმედი არღხების უხიკალურ კოლექციას უჩვენებს. ამ კოლექციაში 40-ძდე არღანია — სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური „წარმომადგენელი“ საქართველოს დედაქალაქში — და თითოეული მათგანი რვა-რვა მელოდიას უკრავს. ეს იშვიათი საკრავები სტუმრებს დაუვიწყარ სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებენ. არკადის ბინის კედლები მოფენილია ცირკის განთქმულ მსახიობთა სურათებითა და სარეკლამო აფიშებით, მათი პატრონი უძვირფასეს რელიკვიებად რომ ინახავს.

ადრე არ ვიცნობდით ძია არკადის. დღეს ჩვენ მეგობრები ვართ. დღეს მე შემიძლია ყველა ნაცნობს, უცნობსა თუ ამხანაგს, ყველა თბილისელს ახე მივმართო — ბევრს, ძალიან ბევრს ჰკარგავთ, ამ საოცარ კაცს რომ არ იცნობთ!

ოლეგ პოკოვი,
რსფსრ სახალხო არტისტი.

სურათებზე: ზევით — საპატიო სტუმარს ოსებ გრიშაშვილს არკადი რევაზიშვილი არღნების კოლექციას აცნობს. ქვევით — „სადღეგრძელო“.



სამშობლოში დაბრუნებული

მთავარია ენთოს!



● ● ● ივლიანე ნადარეიშვილი ცოლშვილთან.
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ჩემს პირდაპირ შუახნის ბრგე მამაკაცი ზის. ერთობ ყურადღებით ვუსმენ. მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ იმდენი გადაუტანია და გაუცდია, უველაფერს ვერც დაიხსომებ და ვერც ქაღალდზე გადაიტან.

ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ფოთელი ივლიანე ნადარეიშვილი თავის ოჯახს მოსწყდა. სამამულო ომმა მრისხანე ლაბირინთებში ჩაითრია, სიკვდილს მრავალჯერ შეახვედრა. მარტო ის რად ღირდა, გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში რომ იყო!

როცა ძალზე გაუჭირდათ ჰიტლერელებს, ფიურერის „მოღვაწენი“ ხსნას ყველგან ეძებდნენ, ყოველ ხავსს ეჭიდებოდნენ. ერთი ამგვარი ხავსი გახლდათ ტყვეთა ბანაკებიდან გერმანული სამხედრო ნაწილების შექმნა. საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისათვის ჰიტლერული ფორმა უნდა ჩაეცვათ, რაიხის იარაღით დაესაჩუქრებინათ და საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ აემხედრებინათ.

თუმცა როგორც საქმეში ჩახედული და ამ ამბების მომსწრენი გადმოგვცემენ, ფიურერი თავდაპირველად წინააღმდეგი ყოფილა ასეთი ნაწილების შექმნისა. მისი უნდობლობა უსაფუძვლო როდი იყო. მართალია, ამგვარი ნაწილები შეიქმნა, მაგრამ ფიურერისთვის ერთგულად თითქმის არავის უმსახურია. ბირიქით, როგორც კი საშუალება ეძლეოდათ, გარბოდნენ და ებრძოდნენ ნამდვილ მტერს — გერმანელებს. ასე გაიქცა გერმანელთა მეცხრე დივიზიის პირველი ათასეულის ჯარისკაცი ივლიანე ნადარეიშვილიც. გაიქცა და ამხანაგებთან ერთად 17 დღეს ტყეში იმალებოდა. მერე ფრანგ პარტიზანებს შეუერთდნენ და იარაღი იმათ წინააღმდეგ აისხეს, ვინც სამშობლოს, ოჯახის თბილ კერას მოსწყვიტა.

დამთავრდა ომი. ყოფილი სამხედრო ტყვეები, მათ შორის ქართველი ჯარისკაციც მატარებლში ისხდნენ და სამშობლოსაკენ მოდიოდნენ. მარსელიდან ოდესაში უნდა ჩამოსულიყვნენ. ქართველები ოდესიდან ბათუმში — სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

ივლიანე ნადარეიშვილი ტულუზის გზაზე მატარებლიდან ჩამოვიდა და საფრანგეთში დარჩა. მე არ მიკითხავს, რატომ გააკეთა ეს ქართველმა ადამიანმა, ოჯახის მამამ. მცირე პაუზის შემდეგ თვითონ მითხრა: მეშინოდა სამშობლოში დაბრუნებისა, მე ხომ გერმანული ფორმა მეცვა. როგორ დამემტკიცებინა, რომ უდანაშაულო ვიყავი, სამშობლოსათვის არასდროს მიღალატია და მაშინდელი კოშმარი იძულებისა და ძალდატანების ნაყოფი იყო მხოლოდ! თუმცა ახლა კარგად ვხედავ, როგორ შევცდი. თავი გავიწვალე და გავიმწარე. აქაც ოჯახი უპატრონოდ მივატოვე.

უპატრონოდ არ ყოფილა ივლიანე ნადარეიშვილის ოჯახი. უგზოუკვლოდ დაკარგული ჯარისკაცის მეუღლისა და შვილებისათვის მზრუნველობა არავის დაუკლია. მაგრამ თავი და თავი ვაუკაცი მაინც დედაკაცი — სულიკო ნადარეიშვილი აღმოჩნდა. როგორ არ იყო — წვალებაც იყო და გაჭირვებაც. მაშინ ყველას უჭირდა და ივლიანეს მეუღლე წელებზე ფეხს იდგამდა, რომ როგორმე გამოეკვება და გამოეზარდა შვილები. მერე ქვეყანა აშუშებდა ომის ჭრილობებს, ბავშვებიც იზრდებოდნენ და სულიკოს უმსუბუქდებოდა შრომა. მაგრამ უგზოუკვლოდ დაკარგული მეუღლისა და მამის დარდი თან სდევდათ ნადარეიშვილებს.

ამასობაში ივლიანე ნადარეიშვილი უცბო მიწაზე დაეხეტებოდა ლუკმაპურის საშოვნელად. შეგობრებთან ერთად საფრანგეთიდან ღვინო გაჰქონდა ბელგიაში, იქიდან ინგლისური საოსტატოშუება ჩამოჰქონდა და ყიდდა. გროშები რიბოდა, მაგრამ ორიოდე წელიწადში არსებობის ეს საშუალებაც მოისპო. ქვეყანა დალაგდა. ახლა ღვინო და საოსტატოშუებიც საფრანგეთშიც იყო და ბელგიაშიც.

ახლა პარიზის ქუჩებში მაწონს დაატარებდა ივლიანე მანქანით. ყოველდღიური ფიზიკური შრომით ირჩენდა თავს. სიმყუდროვე და სითბო მაინც ვერსად პოვა.

1956 წელს ამერიკაში ჩავიდა ბედის საძიებლად. იქ ჯერ მუუაოს ჭიქებსა და თეფშებს აკეთებდა. მერე კომპანია გადასახადებს გაექცა და სხვა შტატში გადავიდა. ხელმოკლე ივლიანე ვერ წავიდა და უმუშევარი დარჩა. კარგა ხანს იხეტიალა ულუკმაპუროდ და ახლა სოფელს მიაშურა. ორიოდე წლის შემდეგ მოახერხა ნიუ-იორკში დაბრუნება, მაგრამ მაინც ვერ დააღწია თავი სიღუხჭირეს. ამერიკა — ეს იყო ქვეყანა ზღაპრულად მდიდრებისა და ზღაპრულად ღარიბებისა. ივლიანე ნადარეიშვილი მეორეთა რიგს ეკუთვნოდა. თანაც უსამშობლო იყო. გარშემო გულშემატკივარი არავინ ჰყავდა. ან ვინ უნდა ყოფილიყო ივლიანე ნადარეიშვილის ქომაგი ისეთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტებსა და სენატორებს უაჩაღურად ხოცავენ!

ივლიანე ნადარეიშვილს კაპიტალისტურმა სამყარომ გაუღვიძა შიში. ქართულ მიწაზე დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის ამაზრზენი იყო ამერიკა დამით, როცა წუხარ, უღრუბლო ამინდში ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა. თანამედროვე ტექნიკური განვითარების უმაღლესმა დონემ შავ კვამლში გახვია ამერიკა. ჰაერი მოწამლულია, გავწმინდოთო! გაჰყვირიან თითო-ოროლანი და მათი ყვირილი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ადამიანები კი მასობრივად ავადდებიან.

ამერიკაში გამოდის რუსი ემიგრანტების გაზეთი „ნოვოე რუსკოე სლოვო“. ამ ორგანოს მესვეურთა ძირითადი მიზანია სოციალისტური სამყაროს ლანძღვა-გინება. ერთ მშვენიერ დღეს ივლიანე ნადარეიშვილმა „ნოვოე რუსკოე სლოვოს“ ფურცლებზე საკუთარი თვალით წაიკითხა ამერიკელი ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების გამოკვლევა. ამერიკელთა 90 პროცენტზე მეტი შეშლილი და გაოგნებულიაო. სტატია „ნიუ-იორკ ტაიმსიდან“ იყო გადმობეჭდილი. რა მინდა ამ შეშლილ სამყაროშიო, მრავალჯერ დაუკვნესია ივლიანე ნადარეიშვილს, მონატრებია ფოთი და პალიასტომი, ცოლ-შვილი და წუნარი ცხოვრება. მაგრამ წლები გადიოდა და ეს დრო თითქოს აშორებდა სამშობლოს. თავისი ქვეყნისაკენ მიმავალ გზას მაშინ ასცდა, როდესაც ტულუზასთან მატარებლიდან ჩამოვიდა და საფრანგეთში დარჩა.

და აი ცხოვრებისაგან გატანჯულ კაცს წამოეწია გაზეთი „სამშობლო“. ეძებდნენ მეუღლე და შვილები: „არაფრად ჩავთვლი ამდენი ხნის მარტოდ ყოფნას, ჩემს ჯაფას, ცრემლსა და მოლოდინს. ოღონდ ჩემს ბავშვებთან მათი მამა დავინახო, გვერდი დამიმშვენოს მეუღლემ და თუ ეს არ შეუძლია, გამოგვეხმაუროს, ბავშვებს ორი სიტყვით მამის ალერსი აგრძნობინოსო“, — წერდა ივლიანეს მეუღლე.

ამ წერილს დღეში რამდენჯერმე კითხულობდა უგზოუკვლოდ დაკარგული ქართველი. თვალწინ ედგა 1941 წლის ივნისის ის დაწუეველი დღე, როდესაც დიდი ომი დაიწყო. გაცილებისას სამი წლის ქალიშვილი მზერიდა წიოდა: მამიკო, შენ არ მოკვდები, არ მოკვდები, არ მოკვდებიო... და მისი სიტყვები ოცდაათ წელიწადს ედგა ყურებში.

ეს რამდენიმე დღეა ივლიანე ნადარეიშვილი ოჯახს დაუბრუნდა. დახვდნენ მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. უფროსი ქალიშვილი ქმარშვილიანია. ცოლშვილიანია აგრეთვე ვაუი — მახარაძის დრამატული თეატრის მსახიობი როლანდი. გაზრდილან და გამრავლებულან ნადარეიშვილები. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ უმამოდ გაზრდილან.

დიდი სიხარულია ნადარეიშვილების ოჯახში. ივლიანეზე უფრო კმაუოფილი და ბედნიერი კაცი ბევრი არ შემხვედრია ამქვეუნად. ერთს კი ვგრძნობდი. შვილები მოკრძალებით შეჰუურებდნენ მშობელს, თითქოს ერიდებოდნენ. მათ შორის თითქოს ოცდაათ წელიწადში ჩაძირულიუო შამაშვილური სიუვარული და როდის ამოტივტივდება, ვინ იცის!

ის კი ვიცი, რომ ამოტივტივდება!

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!

მთავარია ენთოს!

ჯემალ ქურხული

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი. ფოთი.

სამშობლოში დაბრუნებული

სნაიპერზენ ქართველი შვილები...

(დასასრული)

გობრები და რა მალე აუსრულდათ ნატვრა. რამდენიმე ათეული წლის წინათ წვრა-კითხვას ავრცელებდნენ და მარტო ძველი სენაკის სკოლიდან აკადემიკოსების, პროფესორების, მეცნიერების მთელი არმია წამოვიდა.

და კიდევ: ძველი სენაკის სკოლა დაამთავრა 2.400-ზე მეტმა პედაგოგმა, ექიმმა, ინჟინერმა, აგრონომმა, ეკონომისტმა...

წლეულს 87-ე სექტემბერი დაუდგათ ძველი სენაკის საშუალო სკოლაში.

ქვითკირის გალავნით შემოვლებულ ეზოში შრიალებენ მრავალსაუკუნოვანი ჭადრები და ცაცხვები. მდიდრული კაბინეტ-ლაბორატორიებით მოწყობილ სკოლაში კვლავ სწავლობენ ქართველთ შვილები...

დაირეკება ხოლმე უძველესი ზარი და წიგნისკენ მოუხმობს სწავლისმეძებნელთ.

პირველკლასელებს ჩვენული სიყვარულითა და მხნეობით შეხვდა დამსახურებული პედაგოგი ლიდა ყიფიანი. წლევანდელები მისთვის 35-ე პირველკლასელები არიან.

ძველსენაკელების საყვარელმა და პატივსაცემმა მასწავლებლებლებმა ლიდა ჯანჯღავამ, ნაზი ფაიქოძემ, ალექსანდრე ჯანჯღავამ, ლეილა ბოხუამ და სხვებმა უკვე ჩაიბარეს თავიანთი სადამრიგებლო კლასები.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

ყოველი სკოლისათვის პირველი სექტემბერი საზეიმოა და სახეზე ნათელი გადასდის ძველი სენაკის სკოლის დირექტორს იონა მიქაძეს.

იგი მეოცე დირექტორია ამ სკოლისათვის. ოცდაათი წელიწადია მის წინამძღოლად ითვლება. გამოუუზრდია ძველსენაკელთა მთელი თაობები. გაუზრდია მეცნიერებად, ხელოვნების მუშაკებად, პედაგოგებად, ექიმებად, ინჟინრებად, ხელმარჯვე ოსტატებად, ხელხვაიან მშრომელებად, საჩინო ქართველ ადამიანებად.

და კვლავ ზრდის ქართველთ შვილებს. 60 წლისაა უკვე, მაგრამ ჭაბუკურად ენერგიულია, მახვილი და ყურადღებიანი.

სკოლის გვერდით ახალი შენობის მეორე სართული წამოჭიმულა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იონა მიქაძეს. ამბობს: კიდევ ოთხიხუთი წელიწადი მჭირდება, რომ გულდადინჯებულმა დავტოვო აქაურობაო.

ამ სიტყვების მიღმა იმალება მისი უდიდესი სურვილი: კიდევ უფრო კეთილმოაწყოს სკოლა ახალი საკლასო ოთახებით, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზებით...

ამასობაში სკოლა 90 წლისა გახდება, შემდეგ — საუკუნისა. ყოველ წელიწადს დაირეკება სექტემბრის ზარი, ამაღელვებელი და საზეიმო. მოვლენ პატარა პირველკლასელები, დაეწაფებიან წიგნს, მოგვევლინებიან ქართველი ერისა და ქვეყნის სახელოვან ადამიანებად.

ასე დაეკვება ძველი სენაკის სკოლას. ასე იქნება კვლავაც... უფრო სახელოვანი, სამშობლოსათვის საყვარელი ადამიანები იქნებიან ნანა, გულიკო, არჩილი, გოჩიკი, მანანა, თამრიკო, ჯაბა, ავთანდილი და მათი ტოლები...

გჯარები? შეგნებულად არ დავასახელე. არ იყო საჭირო. გჯეროდეს, მჯითხველო, რომ გავა დრო და მათ გვარებსაც ისეთი სიამაყით ვახსენებთ, როგორც იმ დიდებული ადამიანებისა წარმოვთქვით, აქ რომ ისწავლეს დედაენა და მერე ასახელეს სამშობლო.

ლაშა გარეჯელი

ამ ღამეს სახლს სახელიც შესაფერისი გამოუძებნეს.

„პირიმზე“ — ასე უწოდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების 6 სართულიან შენობას, რომელმაც წლეულს გადაიბადა ახალსახლობა და დედაქალაქის კოლმეურნეობის მოედნის განუყრელ ნაწილად იქცა.

„პირიმზის“ პირველ სართულზე საგამოფენო სალონია მოთავსებული. მასპინძლებს უხვად გამოუტანიათ ფართო სამჯავროზე თავიანთი ნახელავი.

მეორე სართულზე ფოტოსალონი და ხმის ჩამწერი სტუდიაა. აქვეა მცირეგაბარიტიან ელექტროხელსაწყოთა შემკეთებელი სახამრო. მეორე სართულზევე შეგიძლიათ შეაკეთოთ მწყობრიდან გამოსული ავტოკალამი თუ სათი. და, ბოლოს, გამოცდილი ოჭრომჭედლები მზად არიან ბეჭედსა თუ სამჯურს აღუდგინონ პირველყოფილი სახე, გადაგიკეთონ თქვენი გემოვნებით.

განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს ხმის ჩამწერ სტუდიას. თბილისელი ქალები ხშირად აკითხავენ „პირიმზის“ მესამე სართულს, რომელიც ახლა სილამაზის სალონად იწოდება.

მეოთხე სართულზე განლაგებულია ფეხსაცმლის სამკერვალო, მოისურვეთ და თქვენს სურვილს უმალ დააკმაყოფილებენ, ხელდახელ შეგიკერავენ ბავშვის, ქალისა თუ მამაკაცის ფეხსაცმელს, ამავე სართულზეა მოთავსებული ტრიკოტაჟის ნაწარმის სამკერვალო.

მეხუთე სართული სამკერვალო სახამროს უჭირავს. აქ ყოველთვის უხვად აქვთ სამამულო თუ საზღვარგარეთული ქსოვილები. გამოცდილი მოდელიორებისა და მკერავთა ნახელავს წუნს ვერ დასდებთ.

ერთი სახლის ათას ერთი საქმე

მეექვსე სართულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მთავარი ინჟინერი ნიკოლოზ სიხარულიძე დაგვხვდა. მან მოდგების სადემონსტრაციო დარბაზში მიგვიწვია. მკერავები ზამთრის მოდებს ეცნობოდნენ. სექტემბრის შუახანი ამინდი იდგა „პირიმზე“ კი უკვე საახალწლო თაღარიგს იჭერდა...

— ჩვენი სახლი ჯერჯერობით მთელი დატვირთვით არ მუშაობს, — მითხრა „პირიმზეს“ დირექტორმა დემურ ცქიტიშვილმა. — 210-კაციანი კოლექტივი მალე ერთიორად გაიზრდება და მაშინ საშუალება გვექნება ბევრად მეტ თბილისელსა თუ დედაქალაქის სტუმარს მოვუმსახუროთო.

დირექტორს გამოშვიდობებისას ერთი „გარეშე“ კითხვაც მივეცი: თბილისელთა საყვარელ მომლერალ დემურ ცქიტიშვილს ესტრადაზე კიდევ თუ ვნახავთ-მეთქი.

გაიცინა. ესტრადა მხოლოდ სტუდენტური გატაცება იყო, უველაფერს თავისი დრო აქვსო... სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა. თბილისელებს კარგად გვახსოვს, როგორ მღეროდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი დემურ ცქიტიშვილი. ახალგაზრდა დირექტორს ახლა ათას ერთი საქმე აქვს და, რაღა თქმა უნდა, ესტრადისთვის აღარა სცალია. ერთი კი არის — მომღერალ დემურ ცქიტიშვილს სცენიდან თუ სიხარული და კმაუოფილება მოჰქონდა ადამიანთა გულში, „პირიმზეს“ დირექტორს ახლაც სიხარული მოაქვს მომხმარებლებისათვის. „პირიმზეში“ სტუმრობის შემდეგ თბილისელსა თუ დედაქალაქის სტუმარს დიდხანს გაჰყვება კარგი განწყობილება, ღიმილი, მზით ავსებული გული...

ომარ მესხიშვილი



სურათზე: მარცხნიდან „პირიმზის“ მთავარი ინჟინერი ნიკოლოზ სიხარულიძე და დირექტორი დემურ ცქიტიშვილი.

სპორტული ქრონიკა

ჰიდკობა

სოფია. აგვისტოს ბოლო რიცხვებია. ბულგარეთის დედაქალაქში ასპარეზობენ მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები თავისუფალ ჭიდაობაში.

საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ გუნდური პრიზისათვის ბრძოლაში მას ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა. 42,5 ქულა, როცა ჩემპიონატის მეორე პრიზიორს 31 ქულა აქვს, იმის საბუთია, რომ გამარჯვებულ კოლექტივს მართლაც არ ჰყავდა ღირსეული მეტოქე. საბჭოთა მოჭიდავეებმა ზედიზედ მესამედ დაიკუთრეს მთავარი გუნდური ჯილდო. ამ დიდ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფალავნებმა ლევან თედიაშვილმა და შოთა ლომიძემ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონებად — ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ.

პირველი საშუალო წონის ათლეტის (82 კგ) ლევან თედიაშვილის თავბრუდამხვევი კარიერა სულ ორიოდე წელია დაიწყო. ნიჭიერი ჭაბუკის წინაშე იმთავითვე ძნელი პრობლემები დაიხვა. მას ჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილისათვის უნდა ეზრუნა, მერე კი საერთაშორისო არბიელზე ეფიქრა. ჩანაფიქრის სირთულე ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ლევანს ნაკრებში ისეთი სახელმოხვეჭილი მეტოქე ჰყავდა, როგორიც შახმურადოვია — საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ ახალგაზრდობის ნიჭსა და მონდომებას მუდამ თავისი გააქვს: თედიაშვილმა ჯერ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე დაამტკიცა, რომ დღეისათვის ტოლი არა ჰყავს: ლამაზად და დამჯერებლად მოუგო შახმურადოვს. ახლა კი სოფიაში განამტკიცა გულშემატკივართა რწმენა და იმედები.

ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე 23 წლის ქართველი სტუდენტი ლევან თედიაშვილი. ექვსჯერ დასტოვა მან სარბიელი მაყურებლების ტაშის გრიალში. ამასთან 5 ბრძოლა ვადამდე დაამთავრა და მსოფლიო ჩემპიონატის თავისებური რეკორდიც დაამყარა.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ლევანმა ბრწყინვალედ მოიგო და როგორც სპეციალისტები ამბობენ, დიდი ხნით დაისადგურა საჭიდაო ოლიმპზე.

ქვემძიმე (100 კგ) წონაში გამოდიოდა ჩვენი სახელგანთქმული ფალავანი შოთა ლომიძე. ზოგჯერ შეცდომა მწვრთნელებსაც მოსდით. ნაკრებში შოთა ლომიძის შეყვანის საკითხი დიდხანს სათუო იყო. რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები, როცა მეორე ეხსჩემპიონ გულიუტკინს აძლევდნენ უპირატესობას, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ უველას კარგად ახსოვს ამ ორი ფავორიტის ამაწიწინა ნელი, უალრესად პრინციპული ხასპარტაკიადო დავა, სადაც ქართველმა ფალავანმა იმედის უოველგვარი ნიშანწყალი გამოუღია გულიუტკინს. ლომიძე შერჩევით ტურნირებშიც უოველნაირად სჯობნიდა მეტოქეს და, ცხადია, აშკარა უფლება ჰქონდა დაეჭირა ადგილი ნაკრებში და დაიჭირა კიდეც. მას ბადალი არც სოფიაში გამოუჩნდა. თავისი ახალგაზრდული ხასიათით (შოთა კი არც ისე ახალგაზრდაა) რაინდული ჭცევითა და ჯუკაცური შემართებით ლომიძე ბულგარელ გულშემატკივართა ნამდვილი კერპი გახდა და გაამართლა კიდეც მათი ნდობა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს შოთა ლომიძეს ჯერ კიდევ არ უთქვამს ბოლო სიტყვა — იგი იმედის თვალით გაჰყურებს მიუნხენის ოლიმპიადასაც.

ფეხბურთი

ბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გულშემატკივრები აშკარად მენიშვნელობენ თავის საფავორიტო გუნდს. ეს გასაკვირია ჩვენი ქუდის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივის წელგაბდეულობა მარტივად ვის ეხსნება. „დინამო" საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებს ჩამორჩა. ამიტომ ახლა სტადიონის ტრიბუნებს შედარებით მეჩხერიანს ვხედავთ. ასე იყო 2 სექტემბერსაც, როდესაც „ლოკომოტივის" სტადიონზე ასპარეზობდნენ თბილისის „დინამო" და ლვოვის „კარპატი". ქართველ ფეხბურთელთა იერიშებს, მჭედლიშვილის, მაჩაიძის, ხურცილავას, ხინჩიგაშვილისა და სხვათა დარტყმებს გოლი არ მოჰყოლია. თამაში უშედეგოდ 0:0 დამთავრდა. თბილისელებმა კიდევ ერთი ქულა დაკარგეს.

მერე თბილისელები ლენინგრადს ეწვივნენ და აქაც სულ ტემპერს შეეგედრა ჰქონდათ ადგილობრივ „ზენიტთან".

პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. მეორე ნახევრის დასაწყისში (52-ე წუთი) მჭედლიშვილის ძლიერ დარტყმას დაახლოებით 16-17 მეტრიდან გოლი მოჰყვა. 75-ე წუთზე კი რეზვიაშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა და მოედანს დაუბრუნდა. მას მოუსწრო გუეავება და მეორე ოუთი გაიტანა. თამაშის დამთავრებას წუთნახევარი აკლდა, როდესაც ლენინგრადელებმა მოახერხეს საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვეს თბილისელებმა 2:1.

საკატიო ბოლებები

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენს თანამემამულეს ლევან თედიაშვილს.

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა ლევან თედიაშვილის მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ქართველ ფალავანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვახტანგ ბალავაძეს.


ფესტივალი „საქართველო-50"

გუშინ თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი „საქართველო-50".

ასეთი ფესტივალი ჩვენთან პირველად ეწყობა. მასში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების სპორტული საზოგადოებების წარმომადგენლები.

ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჭადრაკის შემდგომ განვითარებას ჩვენში, გახამტკიცებს ქართველ მოჭადრაკეთა მეგობრობას მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენებთან.





ზღვის ეტიუდები

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო



სპორტი



ვულოცავთ ნანას!

უკვე შევეჩვიეთ ნანა ალექსანდრიას ბრწყინვალე გამარჯვებებს. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, თბილისის, ბელგრადისა და ბევერვიკის დიდი საერთაშორისო ტურნირების პირველი ჯილდოს მფლობელი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესაკუთრე, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოსმფლობელი ტანვარჯიშში გამარჯვებული... მაგრამ უველაზე თვალსაჩინო გამარჯვება ნანამ მაინც ამ დღეებში იზეიმა გამოჩენილ იუგოსლაველ ოსტატ მილუნკა ლაზარევიჩთან. თუ აქამდე იგი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ხუთეულში ირიცხებოდა, ახლა სამეულში გადაინაცვლა (უფრო სწორად, მეორე-მესამე ადგილებს იყოფს). წინ მხოლოდ მხოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილია.

ლაზარევიჩთან ბრძოლა არ იყო იოლი. დავიწყოთ იმით, რომ ნანას ამ გამოცდილ მეტოქესთან მატჩამდე უარყოფითი ანგარიში (1,5:2,5) ჰქონდა. ამასთან ლაზარევიჩი (რომელიც 39 წლისაა) ფაქტიურად უკანასკნელად აცხადებდა სერიოზულ პრეტენზიას მსოფლიო პირველობაზე. ექვგარეშეა, სამი წლის შემდეგ ვითარება შეიცვლება და ეს, რა თქმა უნდა, იუგოსლაველი მოჭადრაკის სასარგებლოდ არ იქნება. ამიტომ იყო, რომ მილუნკა საგულდაგულოდ მოემზადა და მატჩის დროს ორი პირველხარისხოვანი მწვრთნელიც თან ახლდა. ესენი იყვნენ დიდოსტატები ბორისლავ ივკოვი და ლიუბომირ ლუბოევიჩი.

მატჩის მცირე ანგარიში (5,5:4,5) ნანა ალექსანდრიას სასარგებლოდ სრულიად არ ასახავს იმ დიდ უპირატესობას, რომელიც ჭართველ მოჭადრაკეს ჰქონდა. ნანას მწვრთნელი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე (რომელმაც პირდაპირ ბრწყინვალედ მოამზადა თეორიულად ნანა ალექსანდრია) შემთხვევით როდი მიიჩნევს, რომ უფრო სწორი იქნებოდა ანგარიში 6:5. დიახ, დიახ, ნანა ალექსანდრიას თითქმის უველა შეხვედრაში მოსაგები პოზიცია ჰქონდა. ის ამბავი, რომ რამდენსამე პარტიაში მან მხედველობიდან გაუშვა საუკეთესო შესაძლებლობანი, მეტისმეტ მღელვარებას უნდა მიეწეროს, რაც თავისთავად დამახასიათებელია ასეთი დონის შეჯიბრებისათვის.

ერთი სიტყვით, ნანა მეტოქეს აშკარად აღემატებოდა როგორც თეორიული მომზადებით, ისე სტრატეგიული ხელოვნებითაც. თეთრებით იგი მეტოქეს ისეთ თამაშს ახვევდა თავს, რომელიც იუგოსლაველისათვის ფრიად უსიამოვნო იყო. შავებით ალექსანდრია საკმაოდ სწრაფად ათანაბრებდა თამაშს და შემდეგ უპირატესობასაც კი იღებდა. ლაზარევიჩის განსაკუთრებული შეუპოვრობა რომ არა, მატჩი გაცილებით ადრე დამთავრდებოდა.

მეტისმეტად მძაფრი სიტუაცია შეიქმნა უკანასკნელი, მეათე პარტიის წინ. ნანას ხუთი ქულა ჰქონდა, მეტოქეს — ოთხი. ლაზარევიჩს მხოლოდ გამარჯვებისათვის უნდა ეზრუნა და ისიც შავებით. ნანა დიდებულად მოემზადა შეხვედრისათვის და მოსაგები პოზიციაც მიიღო. სხვა პირობებში იგი უთუოდ მიიყვანდა ამ პარტიას მოგებამდე, მაგრამ ახლა მუდმივი ჭიშით ყაიმითაც დაკმაყოფილდა. გასაგებია, ამ ნახევარმა ქულამ ხომ მას საბოლოო ანგარიშით გამარჯვება მოუტანა.

საყურადღებოა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ქართველი მოჭადრაკე ინიციატივას. ლაზარევიჩმა, მთელი მისი ენერგიისა და შემტევი თამაშის მიუხედავად, ვერ იქნა და ვერ გათანაბრა ანგარიში. დიახ, ლაზარევიჩი საზღვარგარეთის № 1 მოჭადრაკეა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი აშკარად ჩამოუვარდებოდა მეტოქეს.

ახლა ნანამ მზადება უნდა დაიწყოს პრეტენდენტთა ფინალური მატჩისათვის. გასაგებია, რომ ეს შეხვედრა კიდევ უფრო ძნელი და შეუპოვარი იქნება. ბუხუტი გურგენიძეს, რომელმაც ასე ჩინებულად მოამზადა ნანა ალექსანდრია ნახევარფინალური შეხვედრისათვის, ახლა მეტოქის უამრავი პარტიის შესწავლა მოუხდება, რათა ფინალური მატჩიც ასეთივე ბედნიერი შედეგით დასრულდეს.

ფინალური შეხვედრა ნონა გაფრინდაშვილთან მატჩის ორ პრეტენდენტს შორის უკვე 12 პარტიისაგან შედგება და წელიწადის დამლევამდე უნდა გაიმართოს.

როდისღა შედგება შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის? იგი დანიშნულია გაზაფხულისათვის. მას შემდეგ, რაც ნონა გაფრინდაშვილი შეიტყობს თავისი მომავალი მეტოქის ვინაობას, მატჩის დაწყებამდე ექვსი თვე უნდა გავიდეს. ამ ფინალურ ორთაბრძოლაში, რომელიც უდიდეს ინტერესს იწვევს, უკვე 16 პარტია გათამაშდება.

ფაქიზი ფრაგმენტები

ომისა და მშვიდობის ამბები

ლიტერატურული ნარკვევი

ლიტერატურული 1918 წლის ცხელი ზაფხულის ამბავი ჩვენ ვიცით ნაწილობრივ ჰემინგუეის მოთხრობიდან „ადგილი სუფრასთან“, ნაწილობრივ ფაქტების მიხედვით, რომლებიც ცნობილია ამ ამბის მონაწილეთა ბიოგრაფიებიდან. ეს ამბავი ჰემინგუეის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ეპიზოდია. ის ამბობს ამერიკელ ექიმ ჯონ ბარლოუზე, რომელიც იტალიის ფრონტზე ეწეოდა ლტოლვილებს. ბარლოუ ჩამოვიდა ნიუ-იორკიდან, სადაც ცოლი დატოვა. ომის ველზე ის ხვდება ახალგაზრდა ქალს, ელენა ფერარის, რომელიც ომის დაწყებისთანავე მოხალისედ ჩაეწერა საველე ჰოსპიტალში. ელენა ფერარი ომის ველზე ეძებს ბრძოლის ველზე დაკარგულ ქმარს, ლეიტენანტ ანდრეა ფერარის, რომელიც